თბილისის სააპელაციო სასამართლო

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის



# სააპელაციო შესაგებელი
## ადმინისტრაციულ საქმეზე

საქმე №3/4260–10

ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე
აპელანტის სახელი, გვარი (სახელწოდება)

თამარ ონიანი
მომხსენებელი მოსამართლის სახელი და გვარი

## მოწინააღმდეგე მხარე:

ქ.თბილისის მთავრობა
სახელი, გვარი (სახელწოდება)

პირადი (საიდენ.) ნომერი

თბილისი. ჟ.შარტავას ქ.№7
ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

## მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელი:

ს. ბარბაქაძე
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი

პირადი ნომერი

ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი

სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. სამსახურის ტელ. მობილური ფაქსი ელექტრონული ფოსტა

## საკონტაქტო პირი:

სახელი, გვარი სახლის ტელ. მობილური ელექტრონული ფოსტა

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სააპელაციო საჩივარსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები საჩივრისთვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ საჩივრისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 27-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge
სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

# სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი

სახელი, გვარი (სახელწოდება) | პირადი (საიდენ.) ნომერი | ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ. | სამსახურის ტელ. | მობილური | ფაქსი | ელექტრონული ფოსტა

**ეთანხმებით თუ არა სააპელაციო მოთხოვნას?**

**დიახ** ☐

**არა** ☒

**ნაწილობრივ** ☐

რომელ ნაწილში?

## მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობებზე

პირველ ფაქტობრივ უსწორობას - ვეთანხმები
სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს აპელანტის მოსაზრებებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ უსწორობებთან დაკავშირებით.
მტკიცებულება:
ა.

მე-2 ფაქტობრივ უსწორობას - ვეთანხმები

მტკიცებულება:
ა.

## მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე

პირველ ახალ ფაქტობრივ გარემოებას - ვეთანხმები
სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს აპელანტის მოსაზრებებს დავის ახალ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.
მტკიცებულება:
ა.

## ახალი ფაქტობრივი გარემოებები

1. ახალი ფაქტობრივი გარემოება

მიუთითებლობის საპატიო მიზეზი

მტკიცებულება:
ა. (დანართი )

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სააპელაციო საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?

**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?

**არა** ☒

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სააპელაციო საჩივრის აღძვრას?

**დიახ** ☐ რომელი საფუძვლით?

**არა** ☒

## მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებზე

აპელანტი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლებად მიიჩნევს სსსკ-ის 394-ე მუხლის "ე" და "ე" პრიმა ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საფუძვლებს. კერძოდ: გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. თუმცა სააპელაციო საჩივარი არ შეიცავს რაიმე დასაბუთებას რატომ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთება არასრული, ან რაში გამოიხატება გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიულად არასაკმარისი დასაბუთება.

## მოწინააღმდეგე მხარის მოსაზრებები აპელანტის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებზე

საფუძველს მოკლებულია და არ უნდა იქნეს გაზიარებული აპელანტის მოსაზრება გადაწყვეტილების სამართლებრივ უსწორობებთან დაკავშირებით. კერძოდ:

1. არასწორია აპელანტის მითითება სასამართლოს მიერ ასკ-ის 1.2 და სსსკ-ის მე-10 მუხლების გამოყენების თაობაზე, ვინაიდან არ არსებობდა განსახილველ საქმეზე მითითებული ნორმების გამოყენების საფუძველი. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2 მუხლით ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ ნორმის დანაწესიდან გამომდინარე მოცემულ შემთხვევაში აპელანტის მიერ მითითებული სსსკ-ის მე-10 მუხლის გამოყენების საფუძველი, ვინაიდან აღნიშნული ნორმით უზრუნველყოფილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულების სავალდებულოობა. მოცემულ შემთხვევაში განსახილველი დავის საგანია საჯარო ინფორმაციის გადმოცემის დავალდებულება ქ.თბილისის მთავრობისათვის.
2. არასწორია აპელანტის მითითება სსსკ-ის 106-ე მუხლის გამოყენების აუცილებლობის შესახებ, რადგან აღნიშნული ნორმის თანახმად დამტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მხარეებს წარმოადგენდნენ ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო განსახილველ საქმეზე მხარეებს წარმოადგენს ასოციაცია "მწვანე ალტერნატივა" და ქ.თბილისის მთავრობა ანუ სახეზე არ

არის საქმეში იგივე მხარეების მონაწილეობა, რაც შესაბამისად გამორიცხავს სსსკ-ის 106-ე მუხლის დანაწესის გამოყენების აუცილებლობას.
3. სააპელაციო სასამართლოს ყურადღებას მივაქცევთ ასლ-ის 34.3 მუხლის "ბ" პუნქტს, რომლის თანახმადაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საკასაციო საჩივარი დაიშვება, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე დასაშვებია სასამართლოს მიერ ამ კატეგორიის საქმეებზე მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება. მით უფრო მოცემულ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად დავის საგანს წარმოადგენდა 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულების, მისი დანართებისა და შეთანხმება №1-ის გაცემის დავალდებულება. მაშინ, როდესაც განსახილველი დავის საგანია ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის დავალდებულება, რომელიც გარემოსდაცვით ინფორმაციას წარმოადგენს.
4. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

# მტკიცებითი შუამდგომლობები

მოწმე ფაქტ. გარემოება(ები) საპატიო მიზეზი

ექსპერტი ფაქტ. გარემოება(ები) საპატიო მიზეზი

სპეციალისტი ფაქტ. გარემოება(ები) საპატიო მიზეზი

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, ახალ მტკიცებულებათა დასაშვებად ცნობის თაობაზე.
1.

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.
1.

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.
1.

# სხვა სახის შუამდგომლობები

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

**დიახ** ☐ რის საფუძველზე?

**არა** ☒

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

**დიახ** ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

**არა** ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:

» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;

» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;

» სასამართლო ხარჯები;

» სასამართლოსგარეშე ხარჯები;

» ყოველდღიური ხარჯები.

## თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

**დიახ** ☒ მორიგების პირობები: წარმოვადგენთ სასამართლო სხდომაზე.

**არა** ☐ რადგან

## თანდართული საბუთების ნუსხა

დანართი 1:
დანართი 2:

ფურცლების საერთო რაოდენობა —

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

**დიახ** ☐

**არა** ☒ რადგან განსახილველი საქმე არის განსაკუთრებული მნიშვნელობის.

რა დრო დაგჭირდებათ საქმის ზეპირ განხილვაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

20 წუთზე მეტი რადგან ეს დრო დასჭირდება ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" პოზიციების წარმოდგენას სასამართლო სხდომაზე.

რამდენ სხდომაში გსურთ დავის განხილვის დასრულება?

ó სხდომაში რადგან ასოციაცია "მწვანე ალტერნატივას" პოზიციების წარმოდგენა ერთ სასამართლო სხდომაზეც არის შესაძლებელი.

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

**დიახ** ☒

**არა** ☐ რადგან

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე დროის ოპტიმალური შუალედი: 00:00 - 10:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

**დიახ** ☒

**არა** ☐ რადგან

**ატვირთვის ბმული:** **http://tbappeal.court.ge/sf** **http://tbappeal.court.ge/sf**

**საიდენტიფიკაციო ნომერი:**

***ელ. ფოსტა:*** *2nd.instance@court.ge* ☐

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

| | | |
|---|---|---|
| | ნინო გუჯარაიძე | 24/05/2011 წ. |
| ხელმოწერა | ხელმომწერის სახელი, გვარი | შევსების თარიღი |

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 17:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.